ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლ ე ნ ტ ე ხ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **97-97250217**
თარიღი: **21/01/2025**

ადრესატი: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: დაბა ლენტეხი, თამარ მეფის ქ 24

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გია ონიანს

ბატონო გია,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 16 დეკემბერს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა სოფ. ლექსურაში მცხოვრებ კახა ფურელიანის განცხადება, რომელიც ითხოვს ადგილ ,,ბეყენდაშსა " და ,,ლანაკირს" შორის ჩამომდინარე ცხენისწყლის კალაპოტის გასწორხაზოვნებას.

განცხადებაში აღნიშნული პრობლემა ადგილზე მისვლით შესწავლილი იქნა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის, თავმჯდომარის მოადგილის მევლუდ ლიპარტელიანის, დ. ლენტეხის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი ქურასბედიანის მიერ. მდინარე ცხენისწყალი საფრთხეს უქმნის გაღმა ლექსურის მოსახლეობას. გასულ წლებში აღნიშნულ სოფელში წყალდიდობის შედეგად განადგურდა 8 საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო მიწის ნაკვეთები. მდინარის დარტყმის წერტილი სოფლის თავშია და ადიდების შემთხვევაში მოსალოდნელია დარჩენილი მოსახლეობის წალეკვა და მეორე სოფლის ყარიშის მოწყვეტა რაიონული ცენტრიდან. გამომდინარე აქედან აუცილებელია მდინარე ცხენისწყლის სანაპიროს გამაგრება.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ეთხოვოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას შესაძლებლობის ფარგლებში მოხდეს აღნიშნული საკითხის მოგვარება.

(განცხადება თან ერთვის)

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი